საექსპერტო დასკვნა

სასტუმრო უზნაძის ქუჩაზე

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას.საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

შემსრულებელი: **ვილიანა გულიაშვილი**

თბილისი.
2022 წელი.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №65-ში (ს.კ. 01.16.05.002.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს შენობის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №65-ში (ს.კ. 01.16.05.002.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს შენობის არქიტექტურული პროექტი შეასრულეს არქიტექტორებმა : **გიორგი მახარაშვილმა, თეიმურაზ კალმომლეწავმა და თორნიკე სამხარაძემ**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შემადგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№ განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში

გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი № განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.ШМ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

- **პროექტის აღწერილობა**

პროექტის მიზანს წარმოადგენს 107 ნომრიანი სასტუმროს დაგეგმარება, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №65 ში (ს.კ. 01.16.05.002.008) მიწის ნაკვეთი მართკუთხა მოხაზულობისაა, თუმცა ორი მხრიდან გააჩნია ტეხილი ფორმა. სამხრეთ დასავლეთით ნაკვეთს ესაზღვრება საზოგადოებრივი სივრცე - უზნაძის ქუჩა, ხოლო დანარჩენ სამ მხარეს - კერძო ნაკვეთები. ამ მხარეებზე შენობები განთავსებულია უშუალოდ ნაკვეთის საზღვარზე. ნაკვეთის რელიეფი მოსწორებულია და წარმოადგენს ადრე მოწყობილ ქვაბულს, რომელიც ამჟამად გამოიყენება ღია ავტოსადგომად.

სასტუმროს პროექტი წარმოადგენს მიწის დონის ზემოთ 7 სართულიან ნაგებობას, რომელსაც აქვს სარდაფის სართულით, სადაც განთავსებულია სასტუმროს ფუნქციონირებისთვის საჭირო დამხმარე და ტექნიკური სათავსები, ასევე გამაჯანსაღებელი ცენტრი და საცურაო აუზი. პირველ, მიწისპირა სართულზე განთავსებულია სასტუმროს ძირითადი მისაღები სივრცე, რესტორანი და შეხვედრების ოთახი, ასევე დაცვა, დამხმარე და ადმინისტრაციის ოთახები. დანარჩენ 6 სართულზე განლაგებულია სასტუმროს ნომრები, მცირე დამხმარე სათავსოებით. მეხუთე სართულზე დაგეგმილია ღია ტერასის მოწყობა მცირე სამზარეულოთი. სახურავი ბრტყელია და მასზე განთავსებულია კიბის უჯრედები, ლიფტის ტექნიკური სათავსები და შენობის ფუნქციონირებისთვის საჭირო საინჟინრო დანადგარები, საქვაბე, ჩილერები და ა.შ.

მე-2 - მე-7 საცხოვრებელ სართულებზე განთავსებულია 107 სასტუმროს ნომერი, ნომრის მაქსიმალური ფართობი შეადგენს 40,7 კვ.მ-ს, ხოლო მინიმალური ფართობი 18,8 კვ.მ-ს, შენობაში ძირითად გადაადგილების საშუალებას წარმოადგენს ორი სამგზავრო ლიფტი (ადაპტირებული ШМ პირებისთვის) და ერთი სათადარიგო ლიფტი, რომლის კაბინის ზომები აკამყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული კაბინის ზომებს, რომელშიც შესაძლებელია საკაცის შეტანა. შენობის ძირითად გასასვლელ საშუალებას წარმოადგენს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით დაპროექტებული ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონის ნიშნულიდან **(400,90)** შეადგენს **22,4 მეტრს**, ხოლო სახანძრო სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან, ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს **19,50** მეტრზე.

საპროექტო შენობის ფასადის ნაწილი მოპირკეთდება ბუნებრივი ქვით, ნაწილი შეილესება ქვიშა-ცემენტის ხსნარით და შეიღებება ფასადის საღებავით. ზედა სამი სართული უზნაძის ქ. მხრიდან მოპირკეთდება ფასადის შემნული სისტემებით. ღიობების შევსება მოხდება ალუმინის პროფილებიანი მინაპაკეტის კარ-ფანჯრებით.

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს კარკასულ სტრუქტურას, გაძლიერებული მონოლითური ბეტონის კოჭებით და სვეტებით სართულშუა გადახურვად და სახურავის ფილად გამოყენებულია ასევე გაძლიერებული ბეტონის ფილა.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა დასრულდება 2 სახის გადახურვის ტიპით-ბრყელი, მრავალშიანი გადახურვა და ქანობიანი გადახურვა ლითონის პანელებით. ბრტეყლი, მრავალშრიანი სახურავის(ქანობით მინიმუმ 1%) კონსტრუქციის შემადგენლობა რკინა ბეტონის მონოლითურ ფილაზე მოწყობილი ორთქლიზოლაცია, თბოიზოლაცია (ქვაბამბა) დამცავი ფენით, მსუბუქი შემავსებელი დახრების მისაღებად, ქვიშა ცემენტის მოჭიმვა და ორი ფენა რულონური ჰიდროიზოლაცია.

ქანობიანი სახურავის (ქანობით მინიმუმ 38%) კონსტრუქციის შემადგენლობა: ცეცხლმედეგი მასალით დამუშავებული ხის სტრუქტურაზე მოწყობილი ქარხნულად დამუშავებული თუნუქის გადახურვა.

შენობის კონსტრუქციის ტიპი მისი სიმაღლისა და გაბარიტებიდან გამომდინარე შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით განისაზღვრა - IB.

- **ძირითადი ნაწილი**

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია თავშეყრის **(ქვეჯგუფები: თვ-2 და თვ-3),** საქმიანი **(სქ)** საცხოვრებელი **(სც-1)** და დამხმარე **(დს)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

1. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-2** (პერსონალის სასადილო ოთახი, რესტორანი, სამზარეულო, მიმღები, ბარი, ლობი და ღია კაფე/ტერასა დამხმარე საკუჭნაოთი -3,75;+/-0.00 და 13.20 ნიშნულებზე) **წესების 303.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს ისეთ შენობებს და ნაგებობებს, რომლებიც განკუთვნილია თავშეყრისა და კვებისთვის.

თვ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- **1,4** (არაკონცენტრირებული მაგიდები და სკამები) და **18,6** (სამზარეულოები, კომერციული) **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად. თვ-2 ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა (0.00 ნიშნულზე) შეადგენს **157** დამკავებელს

-3,75 ნიშნულზე მდებარე პერსონალის სასადილო ოთახისთვის **(თვ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობა)** განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- **1,4** (არაკონცენტრირებული მაგიდები და სკამები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **38** დამკავებელს, საპროექტო შენობის +13,20 ნიშნულზე განთავსებული ტერასისთის, რომელიც მიეკუთვნება **თვ-2 ქვეჯგუფის** დაკავებულობას, წესებით განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთა შეადგენს **92** დამკავებელს.

საერთო ჯამში **თვ-2 ქვეჯგუფის** დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **287** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის ქვეჯგუფი **(თვ-2),** მის ქვემოთ მდებარე საქმიანი **(სქ)** და დამხმარე **(დს)** და ზედა სართულზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია თაბაშირმუყაოს ფილები), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.წესების **508.4 ცხრილის** მიხედვით სამზარეულო რესტორნის სივრცისგან გამიჯვნას არ საჭიროებს.

3. თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **თვ-3** (საცურაო აუზი, , მასაჟის ოთახები, საუნა, გასახდელები -3,75 ნიშნულზე) **წესების 303.3 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული ადგილები თავშეყრისათვის გამოიყენება, კერძოდ, რელიგიური მსახურების, რეკრეაციის ან გართობისთვის, ასევე, სხვა მიზნით თავშეყრისათვის, რომელიც არ არის კლასიფიცირებული **თვ** ჯგუფის არც ერთ ქვეჯგუფში.

საერთო ჯამში -3,75 ნიშნულზე **თვ-3** ქვეჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **173** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, თავშეყრის ჯგუფის ქვეჯგუფი **(თვ-3),** მის მომიჯნავედ მდებარე საქმიანი **(სქ)**, და დამხმარე **(დს)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია

თაბაშირმუყაოს ფილები), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. საქმიანი ჯგუფი **სქ** (სამრეცხაო, საოფისე ოთახები, პერსონალის გასახდელი ოთახები, საინჟინრო და დამხმარე სათავსები -3,75; და 13,20 ნიშნულებზე) წესების **304.1** ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9,3** (საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობები) **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **39** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის +13,20 ნიშნულზე განთავსებულ სართულზე მდებარეობს კიდევ ერთი **სქ** ჯგუფის დაკავებულობა, საოფისე ფართობი, რომლისთვისაც განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9,3** (საქმიანობის წარმოების (ბიზნეს) ფართობები) **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **52** დამკავებელს.

საერთო ჯამში, საპროექტო შენობაში **სქ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **91** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფი **(სქ),** მის მომიჯნავედ/ზედა სართულზე მდებარე თავშეყრის **(თვ-2** და **თვ-3)**, დამხმარე **(დს)** და საცხოვრებელი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია თაბაშირმუყაოს ფილები), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-1,** წესების **310.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობებში განთავსებულია საძინებელი ერთეულები, უმთავრესად, დროებითი მცხოვრებლებისთვის, რაც მოცავს სასტუმროებს (მცირე ხნით დამკავებლებისთვის)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა წარმოადგენს სასტუმროს სადაც **სც-1** ქვეჯგუფის დაკავებულობები მდებარეობს შენობის **+4,20; +7,20; 10,20; 13,20; 16,20 და 19,20; ნიშნულებზე** განთავსებულ სართულებზე.

საცხოვრებელი ერთეულები (სასტუმროს ნომრები) დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კეძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეთავით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას(პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე **3,55** მეტრი), **1208.2 ქვთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 2,5

მეტრი).ასევე სასტუმროს ნომრებში დაცულია მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-1 ჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6** (საცხოვრებელი) **1004 ქვეთავის** და**1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა, რაც საპროექტო შენობის სართულების მიხედვით შეადგენს:
მე-2 და მე-3 განთავსებული სართულებისთვის - **36** დამკავებელს (თითო სართულზე), მე -5 სართულისთვის **20** დამკავებელს, ხოლო მე-6 და მე-7 სართულებისთვის - **27** დამკავებელს, საერთო ჯამში საპროექტო შენობაში **სც-1** ქვეჯგუფის დაკავებულობის დატვირთა შეადგენს **83** დამკავებელს

თითოეული საცხოვრებელი ფართობი(სასტუმროს ნომერი) ერთმანეთისაგან გამიჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საცხოვრებელი ჯგუფი **(სც-1),** მის მომიჯნავედ/ქვედა სართულზე მდებარე თავშეყრის **(თვ-1 და თვ-2)**, საქმიანი **(სც-1)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია თაბაშირმუყაოს ფილები), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004.1.2** ცხრილის მიხედვით.

6. დამხამრე და სხვადასხვა დანიშნულების ჯგუფი **დს** (მექანიკური და საინჟინრო მოწყობილობების ოთახები -3,75 და +22,20 ნიშნულებზე) წესების **312.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს დამხმარე დანიშნულების შენობებს, ნაგებობებს და სხვადასხვა ნაგებობს, რომლებიც არ მიეკუთვნება რომელიმე სპეციფიკურ კლასს.

დს ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი- **27,9** (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახი),**1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და საერთო ჯამში დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **5** დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, დამხმარე ჯგუფი **(დს),** მის მომიჯნავედ,ზემოთ და ქვედა სართულებზე მდებარე საცხოვრებელი **(სც-1)**, თავშეყრის **(თვ-2 და თვ-3)** და საქმიანი **(სქ)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე

(მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია თაბაშირმუყაოს ფილები და ბლოკის კედლები), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.
სატუმბი დანადგარების და წყლის რეზერვუარის ოთახები დამატებით აკმაყოფილებს წესების **913-ე ქვეთავის** მოთხოვნებს

7. სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (სამზარეულოს საწყობი -3,75 ნიშნულზე) წესების 311.3 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი: დამხმარე ფართობებისთვის-27.9 (დამხმარე სათავსები, მექანიკური მოწყობილობების ოთახები) წესების 1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის შესაბამისად.

საპროექტო შენობის -3.75ნიშნულზე მდებარე სართულებზე სწ-2 ჯგუფის ჯამური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 2 დამკავებელს.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია წესების 508.1 ქვეთავით და 508.4 ცხრილით განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სასაწყობო (სწ-2) და საქმიანი ჯგუფის (სქ) და თვ-2 ჯგუფის დაკავებულობები ერთმანეთისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების 721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა,თარაზული ანაწყობითა, რაც შეესაბამება წესების 508.4 ცხრილში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით) , შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის ელემენტები-ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის კარკასი), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვით) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს,პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთვაში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს

მინიმუმ **2 საათს**, ხოლო სახურავის კონსტრუქციისთვის მინიმუმ **1 საათს** და შეესაბამება **601 ცხრილში I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(I-B)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე შეადგენს **48,8** მეტრს, ხოლო დასაშვები სართულიანობა საპროექტო დოკუმენტაციით მოცემული თითოეული დაკავებულობისთვის **(თვ-2, თვ-3, სქ, სც-1, სწ-2 და დს)** განსაზღვრულია ინდივიდუალურად და შეადგენს:

თვ-2, თვ-3, სქ, სწ-2 და სც-1 ქვეჯგუფის დაკავებულობებისთვის 11 სართულს, ხოლო **დს** ჯგუფის დაკავებულობისთვის 5 სართულს.

წესების **503 ცხრილის** მიხედვით სართულის დასაშვები ფართობი **თვ-2, თვ-3, სქ და სც-1** ქვეჯგუფების დაკავებულობებისთვის არის შეუზღუდავი, ხოლო **დს** ჯგუფის დაკავებულობისთის **3300 კვ.მ. და სწ-2 ჯგიფის დაკავებულობისთვის - 7340,0 კვ.მ-ს**

საპროექტო შენობის შემოთავეზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **7 სართული** (მიწისქვეშა ერთი სართული) შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **22.4 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან - 400,90 მეტრი)**

საპროექტო შენობაში , **თვ-2, თვ-3, სქ, სწ-2 და დს ჯგუფის** დაკავებულობები, რომელთა დაკავებულობის ფართობი შეადგენს:

თვ-2 ქვეჯგუფი – **988,9 კვ.მ**
თვ-3 ქვეჯგუფი – **342,2 კვ.მ**
დს - ჯგუფი **138,2 კვ.მ**
სქ - ჯგუფი **204,7 კვ.მ**
სწ-2-ჯგუფი 51,4 კვ.მ

საპროექტო შენობის +4,20; +7,20; 10,20; 13,20; 16,20 და 19,20; ნიშნულებზე განთავსებულია **სც-1** ქვეჯგუფის დაკავებულობები, რომელთა ჯამური დაკავებულობის ფართობი შეადგენს **3496,8 კვ.მ-ს.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული შენობის, სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503 - ცხრილის მოთხოვნებს.**

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების

საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

წესების **მე-10 თავის1021.2 ქვეთავის,1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან** გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 2 საათს.

ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბე (მდებარეობს B-C ღერძებს შორის) პირველ, მიწისპირა სართულზე (0.00, ნიშნულზე) გრძელდება **1027 ქვეთავის** გამონაკლისის მიხედვით მოწყობილი ლობის (**თვ-2** ქვეჯგუფის დაკავებულობა) გავლით და მთავრდება შენობიდან გამოსასვლელებით, რომლებიც უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას, ხოლო მეორე შიგა გასასვლელის გზა-კიბე (მდებარეობს D-E ღერძებს შორის) გადის პიდაპირ ეზოში და შემდეგ უსაფრთხო ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ ქუჩას.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვემოთ, -3,75 ნიშნულზე განთავსებულ დაკავებულობებს **(თვ-2, თვ-3, სქ,სწ-2 და დს ჯგუფები)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე **(256 დამკავებელი),** ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკაშირებით. ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბიდან ერთი პირდაპირ უკავშირდება საპროექტო ტერიტორიის ეზოს, ხოლო მეორე(მდებარეობს B-C ღერძებს შორის) უკავშირდება შენობის 0.00 ნიშნულზე განთავსებულ **1027 ქვეთავის** გამონაკლისის მიხედვით მოწყობილ ფართობს(ლობი) და შემდგომ 2 გასასვლელის გზა-კარით გადის საზოგადოებრივ სივრცეში.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით პირველ, მიწისპირა სართულზე (0.00 ნიშნული) განთავსებული დაკავებულობებს **(თვ-2 ჯგუფი)** საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე **(492 დამკავებელი),** აუცილებელია 3 გასასვლელის ნაცვლად ემსახურება 4 გასასვლელის გზა-კარი. საპროექტო შენობაში განთავსებული **სც-1** ჯგუფის დაკავებულობები წესების **903.2.8 ქვეთავის** მიხედვით მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, ასევე, ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვილია მწისქვეშა და პირველი, მიწისპირა სართულები აქედან გამომდიანრე **თვ-2 ქვეჯგუფის** დაკავებულობა(ლობი) ასრულებს წესების **1027 ქვეთავის** გამონაკლისის მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელის დონეზე მდებარე ფართობის ფუნქციას, რომელიც თავის მხრივ სრულდება ორი გასასვლელის გზა-კარით და აკამყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სც-1 ქვეჯგუფის დაკავებულობებს (რომლებიც განთავსებულია +4,20; +7,20; 10,20; 13,20; 16,20 და 19,20 ნიშნულებზე) საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ემსახურება 2 შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობის +13, 20 ნიშნულზე განთავსებულ სართულზე **სც-1** ქვეჯგუფის დაკავებულობასთან ერთად მდებარეობს **თვ-2** (ღია ტერასა) და **სქ** (საოფისე სივრცე) ჯგუფების დაკავებულობები, თითოეული მათგანი გასასვლელთან მისადგომი გზა-კარით უკავშირდება 2 შიგა გასასვლელის გზა კიბეს და აკამყოფილებს წესების **1015 ქვეთავის** მოთხოვნებს

როგორც უკვე აღინიშნა, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუ 2 საათს, რაც აკმაყოფილებს წესების **1009.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულ მოთხოვნებს,

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ჩიხური დერეფნების სიგრძე არ აღემატება **9.1** მეტრს, რაც აკმაყოფილებს **1018.4 ქვეთავის** მე-2 გამონაკლისის მოთხოვნებს ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებით.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა არ შედის მაღლივი შენობის კატოგორიაში (სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან, შენობის ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს 19,5 მეტრზე) შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს არ მოეთხოვება წესების **909.20 ქვეთავით** განსაზღვრული კვამლის საკონტროლო სისტემები,კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით და აღჭურვილია ჰაერის მექანიკური განიავების სისტემებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით შენობა აღჭურვილია წესების **903.3.1 ქვეთავის** მიხედვით განსაზღვრული ავტოსაშხეფი სისტემით, ასევე შენობის თითოეულ სართულს გააჩნია ორზე მეტი გასასვლელი, შესაბამისად წესების **ქვეთავი 1016-სა და ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია 75 მეტრი - **თვ-2** , **თვ-3**, და **სც-1 ჯგუფის** დაკავებულობებისთვის, 90 მეტრი - **სქ** ჯგუფის დაკავებულობებისთვის და 120 მეტრი **დს** ჯგუფის დაკავებულობებისთვის, რაც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით დაცულია.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია**1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ 0,5 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს ,ხოლო გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია**1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.
გასასვლელები გრძელდება**1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება საზოგადოებრივ გზაზე.

შენიშვნა:

**<u>1006.2 ქვეთავის თანახმად გზა-კიბეების და ზოგადად გასასვლელი საშუალებების განათებულობა სავალი ზედაპირის დონესთან 11 ლუქსზე ნაკლები არ უნდა იყოს.
1006.3 ქვეთავის თანახმად დენის გათიშვისას,სათადარიგო ელექტროსისტემამ ავტომატურად უნდა გაანათოს გასასვლელი საშუალებები და დენით მომარაგებას</u>

<u>უნდა უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90 წუთის განმავლობაში და უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.</u>

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

როგორც ზემოთ აღინიშნა გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.
გზა-კიბეების მინიმალური სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის **(166 დამკავებელი)** მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1.** ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი **(5,1მმ)** პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე **(1.1**

მეტრი) მეტი სიგანის გზა-კიბე (1.15 მ) და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის.

შიგა და გარე გასასვლელის გზა-კიბეები, ასევე აკმაყოფილებს წესების1009.7, 1009.8 და 1009.15 ქვეთავების მოთხოვნებს, კიბის საფეხურებთან, ბაქნებთან და სახელურებთან დაკავშირებით (იხილეთ გზა-კიბის დეტალური ნახაზი). გზა-კიბეში შემავალი და გამოსასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის მიხედვით და ასევე აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას, ცეცხლმედეგ კედელში ჩასმულ ღიობებთან დაკავშირებით, რადგან 1009.3.1.1 ქვეთავის მიხედვით გზა-კიბის ცეცხლმედეგ ზღუდეს მოეთხოვება 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი, შესაბამისად მასში ჩამსული გზა-კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი 90 წუთია.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. საცხოვრებელი სართულების დერეფნებში 1018.1 ცხრილის შესაბამისად დერეფნის კედლელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი გათვალისწინებულია დასაშვები მინიმუმის შესაბამისი - 0,5 სთ). დერეფნის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით, დერეფნების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (3,8). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვებ მინიმუმზე (1,2 მ) მეტი სიგანის დერეფანი, მინ.1,4 მეტრი.

გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია1008 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (3,8 მმ) გასასვლელის გზა-კარების მოთხოვნილი სუფთა მინიმალური სიგანე შეადგენს 0.82 მეტრს, ხოლო პროექტით გათვალისწინებული, გასასვლელების სისტემაში შემავალი ყველა გზა-კარების სუფთა თავისუფალი სიგანე შეადგენს მინიმუმ 0.85 მეტრს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცეცხლმედეგ კედლებსა და ტიხრებში ჩასმული ყველა გზა-კარი აკმაყოფილებს 716.5 ქვეთავის მოთხოვნას ღიობის ცეცხლმედეგობასთან დაკავშირებით.

შენობის სართულებზე არსებული თითოეული დაკავებულობისთვის და იმ სივრცეებისთვის, რომლებშიც ეს დაკავებულობები ფუნქციონირებენ გასასვლელების და გასავლელების (ავეჯებს შორის-საცხოვრებელ, საქმიან და თავშეყრის ფართობებზე) რაოდენობა (1021 ქვეთავის მიხედვით) და გამტარუნარიანობა, განსაზღვრულია 1008 ქვეთავის, დაკავებულობის დატვირთვის (1004 ქვეთავი) და 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორის (5,1მმ) მიხედვით, აკმაყოფილებს განსაზღვრულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას.

შენიშვნა:

გზა-კიბეების შემომზღუდავში ჩაყენებული კარები წესების 907.3 ქვეთავის შესაბამისად დაყენებული კვამლაღმომჩენების გააქტიურებისთანავე ან კვამლაღმომჩენის ან კარის ღიად დამჭერი მექანიზმისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტისთანავე ავტომატურად უნდა იხურებოდეს. ავტომატურად დაკეტვადი კარების ავტომატურად დახურვას, კვამლაღმომჩენის გააქტიურების შემდეგ 10 წამზე მეტი არ უნდა დასჭირდეს. უზრუნველყოფდეს არანაკლებ 90წუთის განმავლობაში და

უნდა შედგებოდეს აკუმულატორების ან ავტონომიური გენერატორისაგან.

6. მისაწვდომობის შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მე-**11-თავის** მიხედვით გეგმარების კონცეფციაში არის მითითებული მისაწვდომობის სვლაგეზი, რისი საშუალებითაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შეუძლიათ შენობაში შესვლა, სასურველი დანიშნულების სივრცეში შესვლა-გამოსვლა და შენობიდან გამოსვლა, ასევე მე-**11 თავის** მიხედვით განსაზღვრულია მისაწვდომი მთავარი შესასვლელი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მიწისქვეშა სართულზე (-3,75 ნიშნული) განთავსებულია **თვ-2**, **თვ-3, სქ, სწ-2** და **დს** ჯგუფის დაკავებულობები სადაც შეზღუდული შესაძლებელობების მქონე პირები ხვდებიან, შიგა გასასვლელის კიბესთან არსებული ლიფტების მეშვეობით, რომელებიც თავის მხრივ უკავშირდება ყველა სართულს.
თვ-3 და **თვ-2** ჯგუფის დაკავებულობაში მისაწვდომია ყველა სივრცე, მათ შორის წესების **1109 ქვეთავით** განსაზღვრული მოწყობილობები.

საპროექტო შენობის პირველ, მიწისპირა სართულზე (0,00 ნიშნულზე) განთავსებული ყველა დაკავებულობისთვის **(თვ-2 ჯგუფი)** ინდივიდუალურად არის უზრუნველყოფილი მისაწვდომი სვლაგეზი. წესების **1109 თავის მიხედვით** აღნიშნული ჯგუფის დაკავებულობებს ემსახურება ლობში **(თვ-2)** განთავსებული მისაწვდომი წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები და ტუალეტები.ასევე, **თვ-2** ჯგუფის დაკავებულობაში არსებული დასაჯდომები, მისაწვდომია და აკმაყოფილებს წესების **1108.2.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სც-1 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულები გათვალისწინებულია წესების **1107.6.1.1 ცხრილის** შესაბამისად, სასტუმროს ნომრების საერთო რაოდენობა შეადგენს 107-ს, წესების მიხედვით განსაზღვრულია 7 მისაწვდომი ერთეული, რომელიდანაც 2 უზუნველყოფილია ეტლით შესაგორებელი სამხაპით.

როგორც აღინიშნა მიწის დონის ქვედა და ზედა სართულებზე შეზღუდული შესაძლებელობების მქონე პირებისთვის მისაწვდომი სვლაგეზის უზრუნველყოფა ხორციელდება შიგა გასასვლელის გზა-კიბესთან არსებული 3 ლიფტის მეშვეობით, რომელებიდანაც სამივე მისაწვდომია, ხოლო ერთი ლიფტი დამატებით აკამყოფილებს წესების **1702.4 ქვეთავის** მოთხოვენებს ლიფტის კაბინის ზომებთან დაკავშირებით, რომლებშიც შესაძლებელია საკაციე შეტანა.

საპროექტო დეოკუმენტაციის მიხედვით ლიფტების შახტი აღჭურვილია კვამლის საკონტოროლო სისტემით (ჰაერის დაწნევის სისტემა) წესების **909.21 ქვეთავის** შესაბამისად.

მისაწვდომია შიგა და გარე ყველა სივრცე, რომლებიც მისაწვდომი საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულის ნაწილია და მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარეობს.

7.გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას.

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობისთვის განსაზღვრულია ხანძარსაწინააღემდეგო მანძილები, წესების მოთხოვნების შესაბამისად:

„1-5“ და „5-1“; ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილი 9 მეტრზე მეტია და წესების **602 ცხრილის** მიხედვით არ საჭიროებს გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხს, მიუხედავად ამისა შენობის გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით უზრუნველყოფილია მინიმუმ 1 საათი.

„5-1“; „D-A“ და “E-C” ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილები მერყეობს 7,6 მეტრიდან 8,4 მეტრის ფარგლებში და წესების **602 ცხრილის** მიხედვით საჭიროებს გარე კედლების 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც უზრუნველყოფილია კედლის სამშენებლო მასალიდან გამომდინარე და ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 1 საათს.

„G-D“; „G-E“ ; “4-5”და “5-4” ღერძებში მდებარე ფასადის კედლებისთვის ხანძარსაწინააღმდეგო მინიმალური მანძილები მერყეობს 0,8 მეტრიდან 4,9 მეტრის ფარგლებში და წესების **602 ცხრილის** მიხედვით საჭიროებს გარე კედლების 1 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, რაც უზრუნველყოფილია კედლის სამშენებლო მასალიდან გამომდინარე და ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ 1 საათს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები,ფანჯრები) აკმაყოფილებს წესბის **705.8 ცხრილების** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 და 716 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან და ღიობის დამცავებთან დაკავშირებით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გარე კედლების მოწყობა განხორციელდება წესების **1404, 1405, 1406, 1407 და 1408 ქვეთავების** მოთხოვნების შესაბამისად , გარე კედლების საფართან, წვად, ლითონშემცველ და მოსაპირეკეთებელ მასალებთან დაკავშირებით.(იხილეთ გარე კედლის დეტალური ნახაზი).

გარე კარისა და ფანჯრის ანაწყობების, გაყვანილობების და გარე კედლის ანაწყობების დასრულების ადგილების პერიმეტრებთან, გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთასთან, საკვამურებთან, პორტიკებთან (კართანებთან), ტერასებთან (ბანებთან), აივნებთან და მსგავს ნაშვერებთან შეერთების ადგილებში, ასევე, ჩაშენებულ წყალსადინარ ღარებში და მსგავს ადგილებში, საიდანაც წყალმა შეიძლება კედელში შეაღწიოს. ჰიდროიზოლაცია უნდა მოეწყოს გამოშვერილი კიდეების ორივე მხარეზე და ბოლოებთან კედლისზედა ბურულების, წოლანების ქვეშ და უწყვეტი გამოშვერილი გაფორმების თავზე.

8. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის სტრუქტურის და არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხის განსაზღვრულია წესების **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. ცეცხლმედეგობის ხარისხი აღემატება I-B კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მინიმუმს (1სთ) და აკმაყოფილებს მინიმუმ 2 საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს. შენობის გადახურვის ტიპი არის ნაწილობრივბრტყელი (ქანობით მინიმუმ 1%), და ნაწილობრივ ქანობიანი (ქანობით მინიმუმ 38%) ბრტყელი, მრავალშრიანი სახურავის კონსტრუქციის შემადგენლობა:
რკინა ბეტონის მონოლითურ ფილაზე მოწყობილი ორთქლიზოლაცია, თბოიზოლაცია (ქვაბამბა) დამცავი ფენით, მსუბუქი შემავსებელი დახრების მისაღებად, ქვიშა ცემენტის მოჭიმვა და ორი ფენა რულონური ჰიდროიზოლაცია.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი სახურავის კონსტრუქცია წესების **1507.10 ქვეთავის** მიხედვით აკმაყოფილებს მრავალშრიან სახურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს(ცხრილი1505.1ა)** სახურავის ბურულის ხარისხი განსაზღვრულია**1507.10.2 ცხრილის** შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს ASTM D 3909 ტიპს ან მსაგვს, ეკვივალენტური სატნდარტის მოთხოვნას. სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია შიგა გასასვლელის გზა-კიბის მეშვეობით, რაც აკმაყოფილებს წესების **1009.16 ქვეთავის** მოთხოვნებს.

ქანობიანი სახურავის კონსტრუქცია წარმოადგენს ცეცხლგამძლე საღებავით დამუშავებული ხის ნივნივების სისტემას. სახურავის ბურულის ქანობი შეადგენს მინიმუმ 38%-ს და წესების მიხედვით შეესაბამება **1507.4 ქვეთავის** მიხედვით განსაზღვრულ სახურავის ტიპს (სახურავის ლითონის პანელები)
აღნიშნული სახურავის კონსტრუქცია აკმაყოფილებს წესების **15.07.4.2 ქვეთავის მე-3 ქვეთავის** მოთხოვნებს ქანობთან დაკავშირებით და წესების **1507.4.3(1) ცხრილის** მოთხოვნებს ბურულის მასალის სტანდარტთან დაკავშირებით - გალვანიზებული ფოლადი ASTM A 653 G-90. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის **B კლასს (ცხრილი1505.1ა).**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით წარმოდგენილი გადახურვის კონსტრუქციის და სახურავის ბურულის მასალის წესებით განსაზღვრული ცეცხლმედეგობის ხარისხის უზრუნველყოფაზე, რომელიც უნდა შეადგენდეს მინიმუმ 2 საათს პასუხისმგებელია მასალის მომწოდებელი და შენობის შემსრულებელი(ამშენებელი) მხარე, მასალის ხარისხი დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი სერტიფიკატების მეშვეობით.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სახურავზე მოხვედრა შესაძლებელია წესების **1009.16 ქვეთავის** მიხედვით განსაზღვრული შიგა-გასასვლელის გზა-კიბის მეშვეობით.

სახურავი ბოლოვდება მთელ პერიმეტრზე მოწყობილი პარაპეტით, მიუხედავად იმისა, რომ **705.11 ქვეპუნქტის მე-3** გამონაკლისის მიხედვით სახურავის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხის გამო (2 საათი) შენობას პარაპეტი არ მოეთხოვება.

9. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას.

საპროექტო შენობის თითოეული ნაწილი ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია 6 შერეული დაკავებულობა **სწ-2 თვ-2, თვ-3, სქ, დს** და **სც-1** ჯგუფების სახით.
სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი სწ-2 (სამზარეულოს საწყობი -3,75 ნიშნულზე),
თვ-3 (საცურაო აუზი, მასაჟის ოთახები, საუნა, ღია ტერასა და დამხმარე სივრცეები -3,75 და +13,20 ნიშნულებზე), **თვ-2** (პერსონალის სასადილო ოთახი, რესტორანი, სამზარეულო, მიმღები, ბარი და ლობი -3,75 და 0,00 ნიშნულებზე), **სქ** (სამრეცხაო, საოფისე ოთახები, პერსონალის გასახდელი ოთახები, საინჟინრო და დამხმარე სათავსები -3,75; და 13,20 ნიშნულებზე) და **სც-1** (სასტუმროს ნომრები +4,20; +7,20; 10,20; 13,20; 16,20 და 19,20 ნიშნულებზე) ჯგუფების დაკავებულობები ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და ცეცხლმედეგი კედელბით , რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს. კედლების და თარაზული ანაწყობის

ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის მონოლითური ფილა, ბეტონის ბლოკის და თაბაშირმუყაოს ფილების კედელბი.

სც-1 (სასტუმროს ნომრები +4,20; +7,20; 10,20; 13,20; 16,20 და 19,20 ნიშნულებზე) საცხოვრებელი ერთეულები ერთმანეთისგან გამიჯნულია, მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედელბითა და 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს წესების **420.3 ქვეთავის** მოთხოვნებს.
შენობაში არსებული ყველა შახტი, რომლებშიც განთავსებულია საცხოვრებელი ერთეულებისთვის და შენობის სხვა ნაწილებისთვის საჭირო გაყვანილობები და შიგა გასასვლელის გზა-კიბე შემოზღუდულია მინიმუ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედელბით, რაც აკმაყოფილებს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **713 ქვეთავის** და **713.4 ქვეპუნქტის** მოთხოვნებს.

დს ჯგუფის დაკავებულობა (მექანიკური და საინჟინრო მოწყობილობების ოთახები -3,75 და +22,20 ნიშნულებზე) შემოზღუდულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით და თარაზული ანაწყობით, რაც აკმაყოფილებს **913-ე ქვეთავის** მოთხოვნებს

10. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

საპროექტო დოკუმენტაციით წარმოდგენილი და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრული დაკავებულობებიდან,ასევე, შენობის ფართობიდან და სიმაღლიდან გამომდინარე საპროექტო შენობა უნდა აღიჭურვოს შემდეგი ხანძრისაგნ დაცვის აქტიური სისტემებით:

ავტოსაშხეფი სისტემა (გამოყენებულია მთელ შენობაში)
სახანძრო მილდგარების სისტემა (განსაზღვრულია ყველა დაკავებულობისთვის)
სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემა (ყველა დაკავებულობაში)
კვამლის საკონტროლო სისტემები (დერეფნები აღჭურვილია ჰაერის მექანიკური განიავების სისტემით, ლიფტები აღჭურვილია ჰაერის დაწნევის სისტემით)
ხელის ცეცხლმაქრები (თვ-2, თვ-3, სქ და **დს** ჯგუფის დაკავებულობებში)

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით ავტოსაშხეფი სისტემა დაყენებულია მთელ შენობაში წესების **903.2.8 ქვეთავის, 1027 ქვეთავის და** ჩიხური დერეფნების სიგრძიდან გამომდინარე. ავტოსაშხეფი სისტემა უნდა დაყენდეს წესების 1018.4 , 903.3.1.1, 903.3.5.2, ქვეთავების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს NFPA 13-ის სტანდარტის გამოყენებას, თუმცა წესების 102.3 ქვეთავის მიხედვით შესაძლებელია სხვა ეკვივალენტური სტანდარტის გამოყენებაც. ▪ 905.3.1 ქვეთავის თანახმად I კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დააყენონ მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9,0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია შენობაში.
თანახმად 905.4 ქვეთავისა:- გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა მდებარეობდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, თუ სხვაგვარად შეთანხმებული არაა სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან; წარმოდგენილი პროექტით, I

კლასის მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების საზღვრებში, შუალედურ დონეზე არსებულ ბაქნებზე.
- მისაერთებელი უნდა განთავსდეს გზა-კიბის ყველაზე მაღალ ბაქანთან, რომელიც სახურავს უკავშირდება კიბით, რაც საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. I კლასის მილდგარი განთავსებულია სახურავის გასასვლელთან არსებულ ბაქანზე.
გასათვალისწინებელია, რომ I კლასის სისტემის საშუალებით სახანძრო-სამაშველო დანაყოფები 77 მმ სახანძრო სახელოს უერთებენ ქანჩს. ეს სისტემა განკუთვნილია მათთვის, ვინც იცის, როგორ მართოს ძლიერი ჭავლი ხანძრის დროს.
თანახმად 905.5 ქვეთავისა:
- I კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9,0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით დაცულია. II კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების სართულებზე, საერთო სარგებლობის დერეფნის საზღვრებში და შემოზღუდული ავტოსადგომის ფართობზე.
გასათვალისწინებელია, რომ II კლასის სისტემის საშუალებით 51 მმ სახანძრო ონკანიდან წყალი მიეწოდება უპირველესად შენობაში მყოფთ ან სახანძრო-სამაშველო დანაყოფს თავდაპირველი რეაგირებისთვის.

სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

ნახმად 403.4.1 და 907.2.13.1 ქვეთავისა, იქიდან გამომდინარე რომ შენობა მაღლივია იგი სრულად აღჭურვილია კვამლის ავტომატური აღმომჩენებით, რომლებიც მიერთებულია ავტომატურ სახანძრო განგაშის სისტემასთან.

- თანახმად 403.4.2 და 907.2.13 ქვეთავისა შენობაში კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა და სახნაძრო განგაშის სისტემა დაკავშირებულია და ააქტიურებს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემას.

- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას, დაყენებულია სც-1 ჯგუფისთვის, 907.2.8.1 ქვეთავის მოთხოვნების გათვალისწინებით. ასეთი კოლოფები განთავსებულია სც-2 კგუფის სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1,5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არაა საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც შეესაბამება 907.4.2.1 ქვეთავს. საერთო გამოყენების ფართობზე, სც-2 ჯგუფისათვის განკუთვნილ დერეფნებში, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია მხედველობითი განგაშის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას. ასევე სც-2 ჯგუფის საძინებლებში და საძინებლების შესასვლელებთან განთავსებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რაც შეესაბამება 907.2.11.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- სახანძრო განგაშის სისტემა უნდა გააქტიურდეს საშხეფში წყლის ჭავლის გაშვებისთანავე და სახანძრო განგაშის კოლოფის ამოქმედებისთანავე, შესაბამისად სავაჭრო ფართობი აღჭურვილია დამკავებელთა შეტყობინების სისტემით და ვინაიდან სავაჭრო ფართი წარმოადგენს საერთო გამოყენების ფართობს, იგი ასევე უზრუნველყოფილია მხედველობითი განგაშის სისტემით, რაც შეესაბამება 907.5 და 907.5.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- თანახმად 909.20 ქვეთავისა შიგა გასასვლელის გზა-კიბეები დაგეგმარებულია კვამლისაგან დაცული შემოზღუდული სივრცეებით (ვესტიბიულებით), რომლებიც წესების 909.20.4 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით აღჭურვილია კვამლის მექანიკური კონტროლის (განიავების)სისტემით.

- ლიფტების შახტები უზრუნველყოფილია დაწნევის სისტემით, რაც დასაშვებია 713.14.1 ქვეთავის მე- 6 გამონაკლისით.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლით.

906.1 ქვეთავის მიხედვით ხელის ცეცხლმაქრების განთავსებულია, **თვ-1, თვ-2, თვ-3** , **სქ, სც-1** და **დს** ჯგუფის დაკავებულობებში **906 ქვეთავის** შესაბამისად.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების **912-ე** ქვეთვის მიხედვით, საპროექტო შენობის ფასადის კედლებზე, რამდენიმე ადგილას გამოყოფილია ადგილები სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლებისთვის, რომლებიც ემსახურება შენობაში განთავსებულ სახანძრო მილდგარების და ავტოსაშხეფ სისტემებს.

ავტოსაშხეფი სისტემებისთვის, შენობის მიწისქვეშა სართულზე **(-3,75 ნიშნული)** დამატებით განთავსებულია წყლის რეზერვუარი.

ამავე ნიშნულზეა განთავსებული ოთახი, სახანძრო ტუმბოებისთვის, რომელიც აკმაყოფილებს წესების **913-ე თავის** მოთხოვნებს.

11. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას.

წყალსადენი სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ჯგუფების მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების **მე-16** თავის შესაბამისად .

პროექტით გათვალისწინებული თითოეული დაკავებულობისთვის **(თვ-2, თვ-3, სქ, დს და სც-1)** განსაზღვრულია წყალსადენისისტემის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობადა მინიმალური მოთხოვნები **1602.2 ქვეთავისა** და **1602.1 ცხრილის** მიხედვით. წესების 1602.1 ქვეთავის მიხედვით **დს** ჯგუფის დაკავებულობას არ მოეთხოვება წყალსადენის ფიქსირებული ელემენტები.

სც-1 ქვეჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული საცხოვრებელი ერთეულიდან(სასტუმროს ნომრიდან) გამომდინარე და აკმაყოფილებს მინიმალურ რაოდენობებს.

წყალსადენი სისტემების და ფიქსირებელი მოწყობილობების აუცილებელი მისაწვდომი საერთო რაოდენობა სწორად არის დადგენილი**1109.2 ქვეთავის** მიხედვით.

- **დასკვნა**

ზემოთ აღნიშნული შეფასებებიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ ქ. თბილისში, უზნაძის ქ. №65-ში (ს.კ. 01.16.05.002.008) მდებარე მიწის ნაკვეთზე სასტუმროს შენობის არქიტექტურული დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები", ასევე ვადასტურებ, რომ დოკუმენტაცია შედგენილია მაღალ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს არქიტექტურული პროექტისთვის საჭირო ყველა საჭირო ინფორმაციას.

საექსპერტო დასკვნაში წარმოდგენილი შეფასებები განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი: ვილიანა გულიაშვილი

თარიღი : 06.06.2022



შ.პ.ს. "გოდაკო+"
საიდენტიფიკაციო კოდი; 202269035
იურიდიული მისამართი; საქართველო,
თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთი, ი.ევდოშვილის 2/10

ტელ; 592 90 30 22 ელ.ფოსტა godaco@mail.ru

58/2017

ცნობა

ეძლევა მოქალაქე ვილიანა გულიაშვილს (პირადი N01027020578) მასზედ, რომ ის 2005 -2009 წლებში მუშაობდა შპს "გოდაკო+" ს/კ 202269035 არქიტექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა დანიშნულების ადგილზე წარსადგენად

დირექტორი: გიორგი კვიწინაშვილი

GEORGIA

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

HIGHER EDUCATION

DIPLOMA

UA № 000003

By the decision N 20 December 12, / 2005 . /

of the faculty of Architecture

Ms. Viliana Guliashvili

was awarded the qualification of Architect

in

Architecture

with 5 year educational program.

სარეგისტრაციო Registration № 00003

თბილისი Tbilisi

11 რიცხვი/day 5 თვე/month 2012 წელი/year

საქართველო

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი განათლების

დიპლომი

UA № 000003

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2005 წლის 12.12 № 20

გადაწყვეტილებით ვილიანა გულიაშვილს

მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია არქიტექტურის

სპეციალობით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: 5 წელი

დეკანი თ. ჭანტურია / თამარ ჭანტურია /

Dean T. Tchanturia / Tamar Chanturia /

ბ.ა. Seal

რექტორი / არჩილ პრანგიშვილი /

Rector / Archil Prangishvili /